ელექტრონული ტენდერი სს „სსე“-ს ქ/ს „მარნეული 500“-ის ადგილობრივი მართვისა და მონიტორინგის სისტემის ლიცენზიების გაფართოების შესყიდვის შესახებ

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, სს „სსე“-ს ქ/ს „მარნეული 500“-ის ადგილობრივი მართვისა და მონიტორინგის სისტემის ლიცენზიების გაფართოების ელექტრონული ტენდერის (SPA) მეშვეობით შესყიდვის მიზნით, მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. თბილისი, 02 აპრილი **2021 წ.**

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1. კომისიის თავმჯდომარე-დავით ვარდიაშვილი;
2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე- მურთაზ სიჭინავა;
3. კომისიის წევრი - მამუკა სხილაძე;
4. კომისიის წევრი - გელა კეზუა;
5. კომისიის წევრი - ნოდარი ქუბრიაშვილი;
6. კომისიის/აპარატის წევრი - ლაშა შენგელია.

სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა:

კომისიის წევრი - დავით გოლოშვილი.

დღის წესრიგი:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, ქ/ს „მარნეული 500“-ის ადგილობრივი მართვისა და მონიტორინგის სისტემის ლიცენზიების გაფართოების (CPV-48200000 - ქსელების, ინტერნეტისა და ინტრანეტის პროგრამული პაკეტები) ელექტრონული ტენდერის (SPA) მეშვეობით შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის (პირობების) პროექტის განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:

1. სატენდერო კომისიამ მოისმინა ინფორმაცია მიმდინარე შესყიდვასთან დაკავშირებით, კერძოდ:
   - SCADA-ს და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის 2021 წლის 12 თებერვლის N1755 სამსახურებრივი ბარათი სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, ქ/ს „მარნეული 500“-ის ადგილობრივი მართვისა და მონიტორინგის სისტემის ლიცენზიების გაფართოების შესყიდვის შესახებ;
   - სსე-ს შესყიდვების დეპარტამენტის ბაზრის კვლევისა და ბიუჯეტირების სამსახურის 2021 წლის 25 მარტის №4093 სამსახურებრივი ბარათი, რომლის მიხედვითაც, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია მისი სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით გადაეგზავნა ბაზარზე ოპერირებად პოტენციურ მიმწოდებლებს. ბაზრის კვლევის შედეგად მოწოდებული ფასების განხილვის შემდგომ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2021 წლის 15 მარტის N8868 წერილის საფუძველზე, განისაზღვრა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - 13 150 ლარი დღგ-ს გარეშე. დაფინანსების წყარო - 2021 წლის ბიუჯეტი (საკუთარი სახსრები).
2. სატენდერო კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული ინფორმაცია და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის (პირობების) პროექტი.

კომისიამ დაადგინა:

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარი (პირობები);
2. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარი (პირობები) გამოქვეყნდეს ქართულ ენაზე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში (https://tenders.procurement.gov.ge);

3. დამტკიცების შემდგომ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი ხელმოწერისთანავე აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (https://tenders.procurement.gov.ge);

4. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით (https://tenders.procurement.gov.ge/).

დავით ვარდიაშვილი ----------
კომისიის თავმჯდომარე

მურთაზ სიჯინაგა ----------
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

მამუკა სხილაძე ----------
კომისიის წევრი

გელა კეზუა ----------
კომისიის წევრი

დავით გოლოშვილი ---------არ ესწრებოდა---------
კომისიის წევრი

ნოდარი ქუბრიაშვილი ----------
კომისიის წევრი

ლაშა შენგელია ----------
კომისიის/აპარატის წევრი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2021.04.02 13:13:35 +04'00'